



ახმეტის მუნიციპალიტეტის 2022 წლის პროგრამები

(2022 წლის 1 ივნისის მდგომარეობით)

წინამდებარე გზამკვლევაში ასახულია მუნიციპალური პროგრამები, რომელთა შესახებ ინფორმაცია მნიშვნელოვანია როგორც მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლებისთვის, ისე სამშობლოში დაბრუნებული მიგრანტებისა და ქართული დიასპორის წარმომადგენლებისთვის

პროგრამების სარჩევი

1. საცხოვრებელი უზრუნველყოფის პროგრამები	4
1.1. ხანძრის შედეგად საცხოვრებელი სახლის დაზიანების შემთხვევაში ერთჯერადი ფულადი დახმარება.....	4
1.2. სტიქიის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით ბინის ქირით უზრუნველყოფა.....	4
2. ჯანმრთელობის დაცვის პროგრამები	4
2.1. მედიკამენტებით უზრუნველყოფა.....	4
2.2. მაღალმთიან რეგიონში (თუშეთი) მუდმივად და სეზონურად მცხოვრებ პირთა პირველადი სამედიცინო დახმარებისათვის საჭირო მედიკამენტების შექმნა	5
2.3. დიალიზის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე პირების ტრანსპორტირების ხარჯებისათვის.....	5
2.4. ეკონომიკურად გაჭირვებულ და სოციალურად დაუცველ მოქალაქეთა სტაციონარში ჩატარებული მკურნალობის, ოპერაციის (სახელმწიფოს მიერ ასანაზღაურებელი მოქმედი სატარიფო არეალით განსაზღვრული ღირებულების გათვალისწინებით), გამოკვლევების დაფინანსება.....	6
2.5. დაუნის სინდრომის მქონე პირთა ფულადი დახმარება.....	6
2.6. აუტისტური სპექტრის მქონე პირთა ფულადი დახმარება.....	6
2.7. მწოლიარე ავადმყოფის (ლოგინს მიჯაჭვული) და სხვადასხვა პათოლოგიების გამო მუდმივად პამპერსით მოსარგებლე პირების დახმარება ჰიგიენური საშუალებების შესაძენად.....	7
2.8. დიაბეტით და სხვა ფერმენტოპათიით დაავადებულ 18 წლამდე ბავშვთა შესაბამისი კვების პროდუქტების შესაძენად დახმარება.....	7
2.9. უსინათლოთა დახმარება.....	8
2.10. ახმეტის მუნიციპალიტეტში ფაქტობრივად მცხოვრები ბინადრობის ნებართვის მქონე პირებისთვის სამედიცინო მომსახურების დაფინანსება.....	7
3. სოციალური დაცვის პროგრამები	8
3.1. სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის ელექტროენერჯის ან ბუნებრივი აირის გადასახადის თანადაფინანსება	8
3.2. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე 18 წლამდე ასაკის პირების დახმარება	8.
3.3. მაღალმთიან რეგიონში (თუშეთში) მცხოვრები ოჯახების დახმარება.....	8
3.4. მაღალმთიან რეგიონში (თუშეთი) „მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრების“ სტატუსის მქონე პირთა მოზამთრე ოჯახებისთვის 15 კუბურ მეტრამდე მე-2 ხარისხის მერქნის (საშემე მერქანი საჭიროების მიხედვით) შექმნის საფასური.....	8

3.5. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა ოჯახების დახმარება.....	9
3.6. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლის მონაწილე შშმ ვეტერანთა დასვენებისა და რეაბილიტაციისთვის დახმარება	9
3.7. ოჯახში ძალადობის მსხვერპლი პირების ერთჯერადი დახმარება	9
3.8. 95 წლის ასაკს გადაცილებულ პირთა დახმარება	9
3.9. უფასო კვების ობიექტის დაფინანსება.....	9
3.10. უპატრონო მიცვალებულის დაკრძალვის ხარჯის ანაზღაურება	10
3.11. ომის ვეტერანთა დაკრძალვის სარიტუალო ხარჯების ანაზღაურება	10
4. დემოგრაფიული პროგრამები.....	10
4.1. ოჯახების დახმარება პირველი და მეორე ბავშვის შეძენის შემთხვევაში, ერთჯერადად, ბავშვის ერთიწლის ასაკამდე (გარდა მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები ოჯახებისა).....	10
4.2. მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირების და მრავალშვილიანი ოჯახებისათვის ელექტროენერჯის ან ბუნებრივი აირის გადასახადის თანადაფინანსება.....	11
4.3. უდედმამო 18 წლამდე ასაკის ბავშვების დახმარება.....	11
4.4. რეინტეგრირებულ ბავშვთა ბიოლოგიური ოჯახების ერთჯერადი დახმარება.....	11
5. ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის საკონტაქტო ინფორმაცია.....	11

1. საცხოვრებლით უზრუნველყოფის პროგრამები

1.1. ხანძრის შედეგად საცხოვრებელი სახლის დაზიანების შემთხვევაში ერთჯერადი ფულადი დახმარება

სამიზნე ჯგუფი:

- პირები, რომელთა საცხოვრებელი სახლი ხანძრის შედეგად დაზიანდა;

დახმარების ოდენობა:

- არა უმეტეს 1500 ლარი (დაზიანების ხარისხის გათვალისწინებით).

1.2. სტიქიის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით ბინის ქირით უზრუნველყოფა

სამიზნე ჯგუფი:

- სტიქიის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახები.

დახმარების ოდენობა:

- ყოველთვიურად არაუმეტეს 200 ლარი, 4 თვის განმავლობაში.

2. ჯანმრთელობის დაცვის პროგრამები

2.1. მედიკამენტებით უზრუნველყოფა

ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის მედიკამენტების უზრუნველყოფის პროგრამით შეუძლია ისარგებლონ დიალიზის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე, ონკოლოგიური და ფსიქიკური პრობლემის მქონე ავადმყოფებმა.

ჯანდაცვის პროგრამით მოსარგებლე სამიზნე ჯგუფები:

- ა) ეკონომიკურად გაჭირვებული და სოციალურად დაუცველი მოქალაქეები, ცერებრალური დამბლით დაავადებული და სხვა ფსიქომოტორული და მოტორული პათოლოგიის მქონე ბავშვები;
- ბ) დიალიზის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე, ონკოლოგიური და ფსიქოტროპული მედიკამენტების მიმღები პირები;
- გ) შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები;
- დ) დიალიზის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე პირები;
- ე) დაუნის სინდრომის მქონე პირები;
- ვ) აუტისტური სპექტრის მქონე პირები;

დახმარების მისაღებად წარსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალი:

- ა) განცხადება;
- ბ) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;
- გ) ცნობა სარეიტინგო ქულის შესახებ სოციალური მომსახურების სააგენტოს ახმეტის რაიონული განყოფილებიდან;
- დ) ფორმა №IV/100 ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ;
- ე) შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის მიერ გაცემული ცნობა ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის თაობაზე;
- ვ) კალკულაცია აფთიაქიდან;
- ზ) რეცეპტების ქსეროასლები.

სამედიცინო მომსახურების დაფინანსების ოდენობა:

- დიალიზის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე და ონკოლოგიური პაციენტების მედიკამენტების თანხის დაფინანსება, ფსიქოტროპული მედიკამენტების მიმღები პაციენტებისათვის შესაბამისი წამლების თანხის თანადაფინანსება - წელიწადში არაუმეტეს 1 000 ლარისა.

2.2. მალალმთიან რეგიონში (თუშეთი) მუდმივად და სეზონურად მცხოვრებ პირთა პირველადი სამედიცინო დახმარებისათვის საჭირო მედიკამენტების შეძენა

სამიზნე ჯგუფი:

- მალალმთიან რეგიონში (თუშეთი) მუდმივად და სეზონურად მცხოვრები ოჯახები/პირები.

დახმარების ოდენობა:

- 1500 ლარი.

2.3. დიალიზის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე პირების ტრანსპორტირების ხარჯებისათვის

პროგრამით მოსარგებლე სამიზნე ჯგუფები:

- ახმეტის მუნიციპალიტეტში მცხოვრები დიალიზის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე პირები.

დიალიზის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე პირების ტრანსპორტირების ხარჯების ანაზღაურება:

- არაუმეტეს 840 ლარი, ყოველთვიურად 70 ლარი;

2.4. ეკონომიკურად გაჭირვებულ და სოციალურად დაუცველ მოქალაქეთა სტაციონარში ჩატარებული მკურნალობის, ოპერაციის (სახელმწიფოს მიერ ასანაზღაურებელი მოქმედი სატარიფო არეალით განსაზღვრული ღირებულების გათვალისწინებით), გამოკვლევების დაფინანსება

ქვეპროგრამა მოიცავს:

- ახმეტის მუნიციპალიტეტში ფაქტობრივად მცხოვრები ბინადრობის ნებართვის მქონე პირების მკურნალობის დაფინანსება *მწვავე და გადაუდებელ შემთხვევებში, ცერებრალური დამბლით დაავადებული, ფსიქომოტორული და სხვა მოტორული პათოლოგიის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციისათვის საჭირო პროცედურების დაფინანსება* (გარდა ესთეტიკური ქირურგიის, კოსმეტიკური მიზნით ჩატარებული მკურნალობის და ლოგოპედის მომსახურებისა).
- გადასახდელი თანხის 50%-ით, წელიწადში არაუმეტეს 1000 (ერთი ათასი) ლარით დაფინანსდება ყველა მოქალაქე;
- მოქალაქის მიერ 500 ლარამდე გადასახდელი თანხის შემთხვევაში - 100%-ით დაფინანსდება მხოლოდ ის ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულაა 120 000-მდე,
- მოქალაქის მიერ 300 ლარამდე გადასახდელი თანხის შემთხვევაში - აღნიშნული პროგრამით ისარგებლებს მხოლოდ ის ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულა არის 120 000-მდე.

2.5. დაუნის სინდრომის მქონე პირთა ფულადი დახმარება

სამიზნე ჯგუფი:

- დაუნის სინდრომის მქონე პირები.

დახმარების ოდენობა:

- წელიწადში ერთხელ - 200 ლარი.

2.6. აუტისტური სპექტრის მქონე პირთა ფულადი დახმარება

სამიზნე ჯგუფი:

- აუტისტური სპექტრის მქონე პირები.

დახმარების ოდენობა:

- წელიწადში ერთხელ - 200 ლარი.

2.7. მწოლიარე ავადმყოფის (ლოგინს მიჯაჭვული) და სხვადასხვა პათოლოგიების გამო მუდმივად პამპერსით მოსარგებლე პირების დახმარება ჰიგიენური საშუალებების შესაძენად

სამიზნე ჯგუფი:

- მწოლიარე ავადმყოფი (ლოგინს მიჯაჭვული) და სხვადასხვა პათოლოგიების გამო მუდმივად პამპერსით მოსარგებლე პირები.

დახმარების ოდენობა:

- ყოველთვიურად 50 ლარის ოდენობით;

2.8. დიაბეტით და სხვა ფერმენტოპათიით დაავადებულ 18 წლამდე ბავშვთა შესაბამისი კვების პროდუქტების შესაძენად დახმარება

სამიზნე ჯგუფი:

- დიაბეტით და ფერმენტოპათიით დაავადებული ბავშვები 18 წლამდე.

დახმარების ოდენობა:

- ყოველთვიურად 50 ლარის ოდენობით;

2.9. უსინათლოთა დახმარება

სამიზნე ჯგუფი:

- უსინათლო პირები.

დახმარების ოდენობა:

- წელიწადში ერთხელ - 200 ლარი.

2.10. ახმეტის მუნიციპალიტეტში ფაქტობრივად მცხოვრები ბინადრობის ნებართვის მქონე პირებისთვის სამედიცინო მომსახურების დაფინანსება

- ახმეტის მუნიციპალიტეტში ფაქტობრივად მცხოვრები ბინადრობის ნებართვის მქონე პირებს დაუფინანსდებათ სამედიცინო მომსახურება მწვავე, გადაუდებელ შემთხვევაში.
- დაფინანსებული თანხის ოდენობას სიტუაციის მიხედვით განსაზღვრავს შესაბამისი კომისია.

3. სოციალური დაცვის პროგრამები

3.1. სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის ელექტროენერჯის ან ბუნებრივი აირის გადასახადის თანადაფინანსება

სამიზნე ჯგუფი:

- სოციალურად დაუცველი ოჯახები, რომლებიც არ იღებენ სოციალურ შემწეობას და მათი ოჯახის სარეიტინგო ქულა არის 65 000-დან 80 000-მდე;

დახმარების ოდენობა:

- წელიწადში 100 ლარის ოდენობით.

3.2. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე 18 წლამდე ასაკის პირების დახმარება

სამიზნე ჯგუფი:

- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე 18 წლამდე ასაკის პირები.

დახმარების ოდენობა:

- 300 (სამასი) ლარი (საახალწლო კალათა - 150 ლარი, სააღდგომო კალათა - 150 ლარი).

3.3. მაღალმთიან რეგიონში (თუშეთში) მცხოვრები ოჯახების დახმარება

სამიზნე ჯგუფი:

- მაღალმთიან რეგიონში (თუშეთში) მცხოვრები ოჯახები.

დახმარების ოდენობა:

- 300 ლარი (სასურსათო პაკეტი საახალწლოდ და სააღდგომოდ - 150-150 ლარი);

3.4. მაღალმთიან რეგიონში (თუშეთი) „მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრების“ სტატუსის მქონე პირთა მოზამთრე ოჯახებისთვის 15 კუბურ მეტრამდე მე-2 ხარისხის მერქნის (საშუაშე მერქანი საჭიროების მიხედვით) შეძენის საფასური

სამიზნე ჯგუფი:

- მაღალმთიან რეგიონში (თუშეთი) მუდმივად მცხოვრები პირები.

დახმარების ოდენობა:

- თითოეულ ოჯახზე 75 ლარამდე.

3.5. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა ოჯახების დახმარება

სამიზნე ჯგუფი:

- საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა ოჯახები.

დახმარების ოდენობა:

- 300 ლარი.

3.6. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლის მონაწილე შშმ ვეტერანთა დასვენებისა და რეაბილიტაციისთვის დახმარება

სამიზნე ჯგუფი:

- საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლის მონაწილე შშმ პირები.

დახმარების ოდენობა:

- 600 ლარი.

3.7. ოჯახში ძალადობის მსხვერპლი პირების ერთჯერადი დახმარება

სამიზნე ჯგუფი:

- ოჯახში ძალადობის მსხვერპლი პირები.

დახმარების ოდენობა:

- 500 ლარი.

3.8. 95 წლის ასაკს გადაცილებულ პირთა დახმარება

სამიზნე ჯგუფი:

- 95 წლის ასაკს გადაცილებული პირები.

დახმარების ოდენობა:

- წელიწადში ერთხელ - 150 ლარი.

3.9. უფასო კვების ობიექტის დაფინანსება

სამიზნე ჯგუფი:

- ა(ა)იპ „ახმეტის მუნიციპალიტეტის სოციალური სახლის“ უფასო კვების ობიექტების ბენეფიციარები

დაფინანსების ოდენობა:

- გამოყოფილი ასიგნების ოდენობით.

3.10. უპატრონო მიცვალებულის დაკრძალვის ხარჯის ანაზღაურება

სამიზნე ჯგუფი:

- უპატრონო მიცვალებულები.

დაფინანსების ოდენობა:

- 300 ლარი.

3.11. ომის ვეტერანთა დაკრძალვის სარიტუალო ხარჯების ანაზღაურება

სამიზნე ჯგუფი:

- გარდაცვლილ ომის ვეტერანთა ოჯახები.

დაფინანსების ოდენობა:

- 250 ლარი;

4. დემოგრაფიული პროგრამები

4.1. ოჯახების დახმარება პირველი და მეორე ბავშვის შეძენის შემთხვევაში, ერთჯერადად, ბავშვის ერთი წლის ასაკამდე (გარდა მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები ოჯახებისა)

სამიზნე ჯგუფები:

ოჯახები პირველი და მეორე ბავშვის შეძენის შემთხვევაში, ბავშვის ერთი წლის ასაკამდე, გარდა მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები ოჯახებისა.

დახმარების ოდენობა:

- პირველი ბავშვის შეძენისას - 100 ლარი,
- მეორე ბავშვის შეძენისას - 200 ლარი,
- ტყუპების შეძენის შემთხვევაში თითო ბავშვზე 200 ლარი.

4.2.მართოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირების და მრავალშვილიანი ოჯახებისათვის ელექტროენერჯის ან ბუნებრივი აირის გადასახადის თანადაფინანსება

სამიზნე ჯგუფები:

- მართოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირები;
- მრავალშვილიანი ოჯახები.

დახმარების ოდენობა:

- წელიწადში 100 ლარის ოდენობით.

4.3.უდედმამო 18 წლამდე ასაკის ბავშვების დახმარება

სამიზნე ჯგუფი:

- უდედმამო ბავშვები (18 წლამდე)

დახმარების ოდენობა:

- 300 (სამასი) ლარი (საახალწლო კალათა - 150 ლარი, სააღდგომო კალათა - 150 ლარი).

4.4.რეინტეგრირებულ ბავშვთა ბიოლოგიური ოჯახების ერთჯერადი დახმარება

სამიზნე ჯგუფი:

- ბიოლოგიურ ოჯახში რეინტეგრირებული ბავშვები (ბავშვის რეგისტრაციის ადგილის მიუხედავად)

დახმარების ოდენობა:

- წელიწადში ერთხელ - 500 ლარი;

5. ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის საკონტაქტო ინფორმაცია

მუნიციპალურ პროგრამებსა და მათში მონაწილეობის შესაძლებლობებზე დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ახმეტის მუნიციპალიტეტის ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა სამსახურს:

📍 მისამართი: საქართველო. 0900. ახმეტა. ჩოლოყაშვილის ქ. #49

@ ელ. ფოსტა: akhmetameria@gmail.com

ვებ-გვერდი: www.akhmeta.gov.ge